სამშობლო

შაბათი

6 თებერვალი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 279 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 279

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო"-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

ლუარსაბ ნიკოლოზის ძე კაპანაძე და მეუღლე მისი ოლღა ნესტორის ასული, შვილები: აგრაფინა, ვარდენ, გუგული და ვანიჩკა, ნესტორ სიმონის ძე იაშვილი მეუღლითურთ, პელაგო ნესტორის ასული ჯინჭარაძისა და მინადორა ნესტორის ასული იაშვილი და პავლე ლევანის ძე ჯინჭარაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს პირველნი დაუვიწყარ შვილისას, მეორენი ძვირფასი ძმისას, მესამენი შვილის შვილისას, მეოთხენი დის შვილისას და მეხუთე ქვისლის შვილის

გრიგოლ (იგივე გრიშა) ლუარსაბის ძის კაპანაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენებაც დანიშნულია 6 თებერვალს, დღით შაბათს, ჰომის სასაფლაოზე საკუთარ სახლიდან ფერმის ქუჩაზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

2—1—33

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილე.

წარმოდგენა № 51

ქალაქი ქუთაისი. „ქართული დრამა" ქალაქის თეატრი.

კვირას, 7 თებერვალს გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

1

ორი ობოლი

მეხუთე მოქმედება.

2

დედის ერთა

ვოდ. ერთ მოქ. ვ. გუნიასი.

3

რაც გინახავს ველარ ნახავ.

პირველი მოქ. ა. ცაგარლისა.

4

მისალმება.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი შ. დადიანი. ადმინისტრაცია „ქართ. დრამ." ამხ.-სა.

ანონსი: მზადდება: ბენეფისი ვაშვილის, კავთელის, დოლიძის, ჩაგუნავას ჩხიკვაძის ხონელის, მოკარნახე ი. ელენტის და ადმინისტრატორ ზ. ურუშაძის საბენეფისოდ „პარიზის ღარიბ-ღატაკნი".

20 თებერვალს ასოთ-ამწყობ პ. მიქაძის რედაქტორობით ქ. ქუთაისში გამოვა ლიტერატურული ალმანახი.

„ახალი ცისკარი."

ახალგაზრდა მწერალ თა მონაწილეობით. ალმანახში მოთავსებული იქნება შიო მღვიმელის სურათი.

ხელები მიიღება გაზ. „სამშობლოს" რედაქციაში ლადო მაჭავარიანთან.

ალმანახი იქნება 16 გვ. და ღირება 10 კ. 1—6

15 თებერვლიდან ქუთაისში გამოვა ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი კვალი"

გაზეთი ღირს:

ერთი წლით—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 50 კ., ერთი თვით ქუთაისში —20 კ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.

რედაქციის დროებითი ადრესი: Кутаисъ. Типографія Перадзе и Карнаухова для „АХАЛИ КВАЛИ".

ფულის გამოსაგზავნ: Кутаисъ. Тутку Гварамя.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

პარასკევიდან, 5 თებერვლიდან 1916 წ. ნაჩვენები იქნება.

ქურთების ხელში.

დრამა ხუთ ნაწილად, გადაღებულია სომხეთის მთებში. ჰუსეინ-ბეკის როლს ასრულებს გამოჩენილი მსახიობი ლ. ფ. ზანგინი. ბალეტი ამიროვის ტრუპისა.

მოხალისე კარაიუში. ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: ორშაბათიდან, 8 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

ჰრანჭვა-გრეხა დიდი ქალაქისა. დრამა 5 ნაწ., მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობ.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

პარასკევიდან, 5 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება,

ადამიანის ხუნდები.

დრამა 4 ნაწილად, საიმპერ. თეატრის მსახ. ვ. კ. მაქსიმოვის მონაწილეობით.

პროლოგი. სიუმაჟვილის მიზოზრები.

აქტი 1—გაცრუებული რწმენა. 2—დღენი ტანჯვისა. 3—სამაგიეროს გადახდა ქალაქისა. 4—უფსკრულში.

საფრანგეთის გრენადერები. სანახაობა.

ჰრენსი უნებურათ ემორჩილება. კომიკური.

განცხადება.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ თანახმად 1915 წლის 22 ნოემბრის თარიღით უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა 1 თებერვლიდან 1916 წლ., ომის დასრულებამდი შემოღებულია ბეგრა თეატრებსა კინემატოგრაფებსა და ყველა გასართობ საღამოზე შესასვლელ ბილეთებზე შემდეგის სახით:

ორი შაურიდან ათ შაურამდე ღირებულ ბილეთებზე—2 შაური; ათი შაურ.—1 მან.—1 აბაზი,

შემოსული ბეგრის $^2/_3$ გადაიდება ხაზინის სასარგებლოთ, ხოლო $^1/_3$ დედოფალ მარიამის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა სასარგებლოთ. ამატომ ამ ბეგრის მიხედვით, 1 თებერვლიდან 1916 წლის ელექტრო-თეატრ „რადიუმსა" და „ამპირში" შესასვლელ ბილეთებზე დაწესებული იქნება შემდეგი ფასი: ლოჟა 17 შაური; 1 ადგილი 15 შაური; 2 ადგილი 10 შაური; მესამე ადგილი 6 შაური; მოწაფეებისათვის მეორე ადგილი 6 შაური; ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 1 აბაზი.

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელოვის შ-ბის

ქუთაისში

ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ ახლო მომავალში მივიღებთ ცნობილ

აბრეშუმის თესლს

ხ. ხრისტოდულიდისას.

6—4

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი საააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

„სინათლის" საზოგად. გამგეობა

აცხადებს, რომ შაბათს, 6 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდება „სინათლის" საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედებისა და მდგომარეობის შესახებ. 2. სამი რწმუნებულის არჩევა ქართულ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლად. 3 გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების სამი კანდიდატის არჩევა. 4. ახალი წევრების მიღება.

34 2—2

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განააბლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქუჩ-ს კუთხი, სახ. № 3. თ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ ა. დოლიძის სახლში. თ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 3 თებერვალი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის ბრძოლის პირი. რიგის რაიონში რეპეს ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების აეროპლანი აფრინდა, მაგრამ მძიმე ყუმბარები დაუშინეთ და ვაიძულეთ დაშვებულიყო. გერმანელების მძიმე არტილერია ნახევარ საათის განმავლობაში მკაცრად ესროდა იკსკულის ხიდის სათარ სიმაგრეს. დვინსკის რაიონში, ილუკსთან ორი აფეთქება მოვახდინეთ გერმანელების მძიმე ზარბაზნების არტილერიაზე. გერმანელების ორი იერიში გარბუნოვსკასა და მის ჩრდილოეთით მდებარე რაიონის წინააღმდეგ მოვიგერიეთ. მდ. ზემო იკვას რაიონში ჩვენმა არტილერიამ სროლით მოუსპო გერმანელებს ხალისი ჩვენი თხრილების წინააღმდეგ ყუმბარების სროლისა. პირველ თებერვალს ჩვენი ჰაერში მცურავი გემი დაეცა ქალაქ პოდგორიცეს და მის სადგურს, სადგურს 7 თითო ფუთიანი ყუმბარა დაახალა, ქალაქში კი 5 ორფუთიანი ყუმბარა ჩააგდო, სამი თითო ფუთიანი ყუმბარა საწყობებს და სურსათის ურმებს ესროლა. მოპირდაპირის აეროპლანებმა ბრძოლა არ მიიღეს და წავიდნენ. მოპირდაპირე უსეჩკოს რაიონში იერიშს შეეცადა, მაგრამ მოვიგერეთ. ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლის შემდეგ თხრილი ხელთ შეგვრჩა.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის პირის რაიონში ჩვენი ჯარი იპყრობს ოსმალების პოზიციებს მთებში და განდევნა ოსმალები მდ. ვიწეს იქით. როგორც გუშინ იყო გამოცხადებული ძლევამოსილმა კავკასიის ჯარმა არზრუმის საფარ დევებოინუს პოზიციაზე ცხრა ფორტი აიღო, ხელთ იგდო 70 ზარბაზანი, სურსათი და ტყვეები. საუბედუროთ ვერ ვაცხადებთ სახელს იმ სახელოვან პოლკებისას, რომელთაც ხიშტებით განდევნეს ოსმალების ჯარი. ამჟამად ჩვენი გამარჯვება ფართოვდება, მიუხედავად საშინელი ამინდისა და მიუვალ ადგილებისა. ოსმალები დასავლეთის და სამხრეთის მხრით ისწრაფიან აზრუმის დასახსნელად. აზრუმის სამხრეთი ნაწილი ცეცხლშია. ხნისკალის რაიონში მარცვეთ წინ ვიწევით.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

ბალკანეთში.

სალონიკიდან გაზეთები იტყობინება, რომ მოკავშირეთა ლაშქარის მოძრაობა და გადასვლა-გადმოსვლა გვიჩვენებს, რომ ძალთა დარაზმების ხაზი მტრის ფრონტს ძალიან დაუახლოვდა; ასე რომ მალე შეტაკებებიც დაიწყება.

ვანდერველდეს სიტყვა.

ბელგიის სოციალისტების ლიდერმა, და მთავრობის წევრმა სოციალისტმა ემილ ვანდერველდემ ლონდონში ამას წინად სახალხო მიტინგზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა.

— „როგორ შემიძლია მე, წამოიძახა მან, წითელ მაუდ გადაფარებულ მაგიდას მივუჯდე გერმანელ სოციალისტებთან ერთად, მაშინ როდესაც სისხლით შეღებილ მინდორზე იქ, ბრძოლის ველზე ორი სამკვდრო სასიცოცხლოთ გადამტერებული მხარეების სოციალისტები ერთმანეთს სასიკვდილოთ იმეტებენ! ერთი და იმავე პრინციპის მაღიარებელ მოკავშირეების და გერმანიის სოციალისტებს შორის გარდაუვალი უფსკრულია გათხრილი: მათ შორის უწინარეს ყოვლისა ელზას ლოთარინგის მხარე ძევს; ის ელზას ლოთარინგი, რომელსაც გერმანელი სოციალ-დემოკრატები ერთ სულოვნობით ართმევენ საფრანგეთს, რომლისგანაც ეს მხარე აგერ 40 წელია, რაც მოწყვეტილია; მაგრამ საფრანგეთის სოციალისტები მას მაინც თავის სამშობლოს ნაწილად სთვლიან.

როგორ შეიძლება რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატებთან კვლავ კავშირი დავიჭიროთ, როცა მათ გერმანიის იმპერიის ხმის მიცემით მხარი დაუჭირეს? მათ ახლა ჩვენ გამოგვიწოდეს ხელი, მარა ჩვენ მას ხელს ვერ ჩამოვართმევთ, ვინაიდან მათი მეორე ხელი კაიზერის ხელთაა, რომელიც ბელგიის და საფრანგეთის ხალხის სისხლით არის შეღებილი.

ეჭვი არაა, რომ გერმანიის ს.-დ. უმცირესობის გმირობა როზა ლიუქსემბურგის, ლიბკნეხტის, ბერნშტეინის, კურცკის და გუგო-გააზესი განსაცვიფრებელია. მაგრამ ყველა ესენი ჯერ ისევ მხოლოდ პარტიის უმცირესობას წარმოადგენენ; თუნდაც გერმანიის ს.-დ. მთელმა პარტიამ ზავი მოითხოვოს ახლა ჩვენ მაინც ვერ გავყვებით მას, ვინაიდან არა მასთან გვექნება გამართული მოლაპარაკება ზავის პირობებზე, არამედ იმ გენერლებთან, რომლებიც დღეს კაიზერის არმიას განაგებენ და რომლებმაც ჩვენი სამშობლო ფეხქვეშ გათელეს...

ინტერნაციონალი მხოლოდ თავისუფალ ერთა შორის ცოცხლობს და უპირველესი პირობა მისი აღდგენისა ბელგიის და საფრანგეთის დამოუკიდებლობის კვლავ სრული აღდგენაა. მე დიდი იმედით ველი ამ წუთს“! დაასრულა სიტყვა ვანდერველდემ.

ბრძოლა სალონიკთან.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ როგორც გერმანული გაზეთებიდან სჩანს, იტალიამ გადაწყვიტა მოკავშირეებს სალონიკში დიდძალი მაშველი ჯარი გამოუგზავნოს. მოკავშირეები სალონიკში სულ უფრო და უფრო მეტ ძალას უყრიან თავს; ამიტომ გერმანელ-ბულგარნი ჩქარობენ, რომ შეტევა მალე მოახდინონ! ავსტრია-გერმანიის ჯარმა გევგელი-სტრუმიცას რკინის გზა აღადგინა, ბულგარეთ-სერბია საბერძნეთის საზღვრების თავსაყართან ბულგარეთის რაზმს მოკავშირეთა ერთ როტასთან უკვე შეტაკება მოუხდა. მოკავშირეები ცდილობენ, რომ სალონიკის მიდამოები და მაღლობები დაიკავონ ვიდრე ბულგარეთის საზღვრამდი. მიდამოების ბერძენ მცხოვრებთ წინადადება მისცეს, რომ დროებით გადაიხიზნონ სადმე.

მეორე მხრით გენერალმა მაკენზენმა ჯარები დაათვალიერა და საომრათ დარაზმა. მაგრამ იმასთან იმასაც ამბობენ, რომ გენერალ მაკენზენს უსაყვედურებენ, თითქოს შეტევის დაწყებას აგვიანებდეს. მაგრამ მას ამაში ბულგარეთის შტაბი მხარს უჭერს თურმე. მაკენზენი ვითომ გერმანელებზე გამწყრალი აცხადებს, რომ თუ ისევ საყვედურს გაიგონებს გერმანელთაგან, მაშინ იგი ამ ფრონტს სულ დატოვებს და პასუხის მგებლობას აღარ იკისრებს.

ქრონიკა

რუსეთი.

სახელ. სათათბიროს მოწვევის წინ.

რამდენიც ახლოვდება სათათბიროს წევრთა შეკრების დღე (9 თებერვალი), იმდენათ, „საზოგადოება“ საპარლამენტო ბრძოლის გუნებაზე დგება. ყველა შიშით მოელის: აბა რას იტყვის ახალი სათათბირო, ან როგორ მოიქცევა იგი ერთგვარ პირობებში და სხვა; ბიუროკრატიას რომ მრავალგზით ნაცადი საშუალება აქვს მის წინააღმდეგ: მისი სხდომების შეწყვეტა და დათხოვა, როგორც ის ყოველ საჭირო მომენტში მიმართავს ხოლმე. მაგრამ აჟამათ, როგორც არწმუნებიან, ბიუროკრატიის უმეტესობა ამ ნაცად საშუალებას არ თანაუგრძნობს, ვინაიდან ასეთი ზომა „საზოგადოებაში“ მშვიდობიანობას მხოლოდ გარეგნულათ ამყარებს; ნამდვილათ კი დაწყებული მოძრაობა სხვა გზებს ეძებს, რაც თვითონ ბიუროკრატიისთვის ხელსაყრელი როდია.

პრემიერი შტიურმერი.

ახალი პრემიერი შტიურმერი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ „საზოგადოების“ ყურადღება დაიმსახუროს. ამ დღეებში მან ჟურნალისტების საზოგადოების წევრები მიიღო და შეპირდა, რომ იგი ეცდება ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

პრემიერი ძალიან სწუხს თურმე იმას, რომ ვიდრე საბჭოს თავმჯდომარეს სადგომში დაბინავდებოდეს, მას საშუალება არა აქვს, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენელი მიიღოს ვრცლათ და გულახდილათ ესაუბროს.

პროგრესისტ-ლიბერალების კრებები.

ამ დღეებში გაიმართა კადეტების ფრაქციის შეერთებული სხდომა. გამოარკვიეს, თუ რით უნდა უპასუხოს კადეტების ფრაქციამ მთავრობის დეკლარაციაზე სათათბიროს სხდომის პირველ დღეს. მსჯელობა ჰქონდათ აგრეთვე ფრაქციულ ტაქტიკაზე საზოგადოთ. დაბოლოს გამოარკვიეს თუ როგორი უნდა იქნეს პროგრესიულ ბლოკისა და ფრაქციის შორის ურთიერთობა. დაადგინეს, რომ ფრაქციამ შეინარჩუნოს ავტონომიური უფლება იმ კითხვებში, რომელთა შესახებ სხვა პროგრესიულ ფრაქციებთან შეთანხმება არ მოხდება. ერობის ოქტომბრისტების ფრაქციამაც გამართა კრება და შეიმუშავა ტაქტიკა, რომელსაც იგი სათათბიროს მომავალ სესიაში უნდა დაადგეს. ერთი სიტყვით პროგრესისტები დიდ მზადებაში არიან ბრძოლის წინ, ხოლო გაცხარებული ბრძოლის დროს თუ როგორ პოზას მიიღებენ, ამას მალე ვიხილავთ:

უცხოეთი.

ინგლისის რადიკალთა ახალი ჯგუფი.

სამხედრო ბეგრის ბილის გაუვანის გამო ინგლისის პარლამენტში რადიკალების ახალი ჯგუფი გაჩნდა. ინგლისის გაზეთების გადმოცემით ეს ჯგუფი იმ ლიბერალ დეპუტატებისაგან შესდგება უმეტესათ, რომლებმაც სამხედრო ბეგარის ბილის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ეს ჯგუფი მემარჯვენე ლიბერალების წინააღმდეგ გამოდის, რომლებიც კონსერვატორებთან ერთად ომის ენერგიულად წარმოებას მოითხოვენ; ხოლო მემარცხენე ლიბერალები ანუ რადიკალები სამ მიზანს მისდევენ 1) სამხედრო ბეგრის ბილის ცხოვრებაში გატარებას თვალყური ადევნონ; 2) წინააღმდეგობა გაუწიონ ყველგან, სადაც კი იძულებითი პრინციპის გატარებას შენიშნავენ; 3) საერთოთ ლიბერალური მთავრობის პოლიტიკის გატარებას თვალყური ადევნონ.

„ცენტრალური ევროპა“.

უკანასკნელ დღეებში ცენტრალური სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენცია მოხდა ქ. დრეზდენში ეკონომიური კავშირის დასამყარებლათ. კონფერენცია მხოლოდ ორ დღეს გაგრძელდა. ოფიციალური ცნობები ამ საიდუმლო კონფერენციის შესახებ ძალიან მცირეა. საქმე, თითქო, ძალიან ნელი ნაბიჯით მიდის წინ. კონფერენციამ მიიღო სამი რეზოლიუცია. პირველი ამ კავშირის საჭიროებას და მის ეკონომიურ აუცილებლობას ამტკიცებს. მეორე რეზოლიუციით ამ კავშირში ბულგარეთის და ოსმალეთის ჩარევ[illegible] [illegible] ცენტრალურ ევროპის ეკონომიურ მხარესთან დაკავშირების მიზნით ისახავენ. მესამე რეზოლიუციით მუდმივ კომიტეტის მოწყობის საჭიროებას აცხადებენ, რომელიც ბერლინის, ვენის და დრეზდენის კონფერენციების დადგენილებებს სისრულეში მოიყვანს. შემდეგი კონფერენცია უნდა მოხდეს ბუდაპეშტში.

ქართული პრესა.

„თანამედროვე აზრი“ ეკონომიურ ა[...] დარღვევისა და საწარმოო ძალთა განვითარების შესახებ რუსეთში შემდეგს სწერს:

„დღეს უკიდურესი ოპტიმისტებიც იძულებული არიან აღიარონ, რომ ეკონომიური ცხოვრება თავის კალაპოტს მოსცდა და ხალხის კეთილდღეობა შერყეულია. ცხოვრების გაძვირება, ფულის ნაკლებობა, სამრეწველო კრიზისი—საყოველთაოთ ცნობილი ფაქტია.

წინეთ ამ საკითხებს გავლენიანი წრეები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ და პატრიოტული ყიჟინით კმაყოფილდებოდენ. მარა ომი ფრიად ხანგრძლივი გამოდგა და ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ გამარჯვება უპირველესად ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგებას მოითხოვს. დღემდის ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული წრეები მთელი უბედურების სათავეთ ნემეცთა ძალადობას აღიარებდენ. და აი შესაფერი ზომების გამომუშავებასაც შეუდგენ. ნემეც-კოლონისტები ადგილ-მამულიდან აყარეს, უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე მეტი ბაჟი დაადვეს და ასე მფარველობითი სისტემის გაძლიერებით ქვეყნის ეკონომიურ ნიადაგზე მოწესრიგებას ლამობენ.

მერე შედეგი?

საქმეს არაფერი ეშველა. რკინის გზებზე საქონლის გადაზიდვა ფერხდება, სატრანსპორტო საქმე [...]წება, სპეკულიაცია მთელ ცხოვრებას დაეპატრონა და წარმოიდგინეთ ვაგონების შეძენაც ამ მიზნით გამოიყენეს და ასე რკინის გზები მრავალი ბოროტების ბუდე შეიქნა.

ეს ცოტაა. რუსეთი სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, რომელიც მთელ ევროპას არჩენდა. დღეს მრავალ ადგილას პურის ნაკლებობამ იჩინა თავი, ხოლო ხორცის ნაკლებობა საყოველთაო ფაქტია. საკლავი საქონლის რაოდენობა აბსოლიუტურათ შემცირებულია. სათიბი მასალის ნაკლებობამ სამრეწველო კრიზისი გამოიწვია. [...]

სახალხო შკოლა და საგლეხო უნივერსიტეტი შვეციაში.

(დასასრული იხ. № 278.)

საგლეხო უნივერსიტეტი, რომელიც პირველად შვეციაში გაიხსნა, არის ის უმაღლესი სახალხო სასწავლებელი, სადაც ფართო პროგრამით სწავლას განაგრძობენ მდაბიო შკოლებში კურს დასრულებული გლეხები. უმეტეს ნაწილად აქ მეცადინეობს ახალგაზდობა 18 წლიდან 25 წლამდი, თუმცა ხანდახან მსმენელთა შორის უფრო ხნიერებიც ჩაერევიან ხოლმე. იყო მაგალითი, როცა ერთი უღარიბესი მჭედელი ათი წლის განმავლობაში ფულს აგროვებდა, რომ მიმართულიყო უნივერსიტეტში. ძლივს შეაგროვა თანხა და მსმენელათ ჩაეწერა. ამ დროს ის უკვე 40 წლის კაცი იყო. ასეთი შემთხვევა, რასაკვირველია, იშვიათ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს... ეს მაგალითი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ როგორ იზიდავს სოფლის ხალხს ეს საგლეხო უნივერსიტეტები. იქაური გლეხი კაცი სულ იმაზედ ოცნებობს რომ როგორმე გახდეს ამ სიმპატიური შკოლის მსმენელათ.

ამ ჟამად ასეთი შკოლები მთელ შვეციაში 30-ზე მეტია, ნორვეგიაში კი ცოტა ნაკლები. მოთხოვნილება კი ისეთი ძლიერია, ამ მხრივ რომ ამ მოკლე ხანში ეს რიცხვი მალე 40-მდინაც ავა.

უმაღლესი განათლების გავრცელება ხალხში კერძო ინიციატივას ეკუთვნის. პირველად ეს დიადი საქმე დაიწყო კერძო პირმა. ეს იყო განათლებული შვედი ულმანი, რომლის ღვაწლსა შვეციის ხალხი არაოდეს არ დაივიწყებს.

ულმანი სხვა და სხვა ადგილებში მოგზაურობდა. თითოეულ ალაგას სამ-ოთხი [...] თვით ჩერდებოდა და გლეხებს სხვა და სხვა საგნებიდან ლექციებს უკითხავდა. ულმანს დიდ დახმარებას უწევდა მისი განათლებული ცოლიც როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, თავდაპირველად ამ ახალ საქმეს ბევრი ცუდი თვალით უყურებდა და თანაგრძნობის მაგიერ დასცინოდენ კიდევაც ულმანს; ამბობდენ, რომ ის სულელია, ძვირფას დროს უთავბოლო წყლის ნაყვაში კარგავს. მაგრამ იდეით გატაცებული ულმანი ქედს არ ხრიდა. ის ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ მისი მოწინააღმდეგენი სასტიკად სცდებოდენ; თითქმის ცარიელ აუდიტორიაში, სადაც ხანდახან 15 კაცის მეტიც კი არ იქნებოდა, ულმანი დიდის ხალისით განაგრძობდა ლექციის კითხვას. თანდათან მისი სახელი ცნობილი შეიქნა. შვეციაში ყოველი კუთხიდან გლეხები—ქალიც და ვაჟიც მოდიოდენ მასთან ლექციის მოსასმენათ.. გავიდა მცირე დრო და შვეციის პარლამენტმა (სტორტინგმა) ამ საქმისთვის დიდი თანხა გადადვა.

ამ ფულით ულმანმა ააგო გლეხთა უმაღლესი შკოლის შენობა. ეს შკოლა დღესაც არსებობს და უდიდეს სახალხო უნივერსიტეტათ ითვლება. მალე თვითონ სახელმწიფომაც დაარსა სხვადასხვა ალაგას საგლეხო უნივერსიტეტი, რომელიც დღეს სავსეა მსმენელებით. ლექციის ფასი წლიურად 25 მ. ღირს. მეცადინეობა ჩვეულებრივათ დილის 7 ს. იწყება; აქ ასწავლიან მართლწერას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ისტორიას, ლიტერატურას გეოგრაფიას, ხატვას და სხვ. მეცადინეობენ აგრეთვე სიღამოობითაც, მაგრამ ამ მეცადინეობას სულ სხვა ხასიათი აქვს. ხანდახან ინიშნება ხოლმე სანიმუშო კრებები, სადაც არჩევენ რომელიმე გლეხთა ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხს; უფრო ხშირად კი ლექტორი უკითხავს მსმენელებს რომელიმე გამოჩენილ მწერლის ნაწარმოებს ხმამაღლა, გარკვევით, რის შემდეგ იმართება წაკითხულის შესახებ გაცხარებული სჯა-ბაასი. ასეთი კამათი იმართება რექტორის თავმჯდომარეობით და მონაწილეობას იღებენ ყველანი. ასეთ ლიტერატურულ საღამოებს დიდი ნაყოფი მოაქვს: ბევრი მსმენელთაგანი საფუძვლიანი ცოდნით და ახალი ცნობებით აღჭურვილი ბრუნდება შინ.

შვედის საგლეხო უნივერსიტეტი არ იძლევა არც დიპლომს, არც სხვა რამ უფლებებს. სწავლის შედარებით ძვირია; უფალი მსმენელი წელიწადში იხდის 25 მანეთს. მიუხედავად ამისა, თქვენ მთელ შვეციაში ვერ იპოვით ისეთ საგლეხო უნივერსიტეტს, რომელიც არ იყოს სავსე მსმენელებითო. ზოგი მათგანი მოდის შორეულ მხრიდამ. არამც თუ მდიდარი გლეხები, არამედ ღარიბი ფერმერები სიამოვნებით გზავნიან თავიანთ შვილებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა—განათლების შესაძენად. სრულიად გაღატაკებული გლეხიც კი ხშირად აუცილებელ მოთხოვნილებასაც არ იკმაყოფილებს, შიმშილს იტანს და ცდილობს ასეთი ეკონომიით საჭირო თანხა შეაგროვოს, რომ ადრე თუ გვიან მიაღწიოს უმაღლეს შკოლის კარებსა.

— წინად ჩემი თავი ადამიანათ არ მეგონა, მხოლოდ ახლა კი ვგრძნობ, რომ ადამიანი გავხდიო ამბობს ხოლმე შვედი, როცა ის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში მოხვდება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ უმაღლეს შკოლის რექტორს ანუ გამგეს ირჩევენ თვით მსმენელები [...] წლის ვადით. თუ მან კარგად შეჰყავს საქმე, მეორედაც ირჩევენ და თუ არ მოეწონათ, მაშინ გადააყენებენ ხოლმე და ირჩევენ უკეთეს კანდიდატს. სახელმწიფო კარგ ჯამაგირს აძლევს შკოლის გამგეს. ის ბინითაც სარგებლობს და ჩვეულებრივ, ბაღი და ბოსტანიც ეძლევა—საგლეხო უნივერსიტეტების რექტორები უმეტეს ნაწილად ცნობილი პედაგოგები არიან.

თავისთავად ცხადია, რომ ამ უმაღლეს კურსებმა დიდი გავლენა იქონიეს ხალხზე. განათლებულ გლეხებს, რომელთაც უკვე მოისმინეს სწავლის სრული კურსი, სიცოცხლე შეექმნა მიყრუებულ სოფლებში; მათი მეოხებით ბნელი ხალხიც იღვიძებს; გონება დახშულ შვედს ეხსნება ახალ—ახალი მოთხოვნილებანი და სხვებთან ერთად ისიც იწყებს ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას. თანდათანობით იცვლება სოფლის ზნე-ჩვეულება, ისპობა ლოთობა და სამიკიტნოების რიცხვი მცირდება. განათლებული გლეხები იწერენ ჟურნალ-გაზეთებს, აშენებენ წიგნ-საცავ-სამკითხველოებს, თეატრებს, აწყობენ სახალხო მგალობელთა გუნდს და სხვადასხვა კეთილ საქმეს აკეთებენ.

აი, სწორედ, ეს ღარიბი, მაგრამ ცოდნით აღჭურვილი გლეხები სათავეში უდგან მთელი ხალხის კულტურას, რომელსაც დღეს განცვიფრებაში მოყავს ყოველი უცხოელი. მაგრამ მარტო გარეგნული წესრიგით როდი იქცევს შვედი თქვენს ყურადღებას. ის მეტის მეტად თავმოყვარე ადამიანია და ნებას არავის მისცემს უსაფუძვლოდ შეეხოს მისი პიროვნება და ადამიანური ღირსებანი. თავის მხრითაც შვედი მუდამ პატიოსნურად და კეთილშობილურად ექცევა ყვე-

რამდენად შენახულია შვეცია [...]გიაში პატიოსნება, ეს იქიდანაც სჩა[...] რომ, იქაური სახლის ფანჯრები არა[...] არ იხურება—მუდამ ღიაა; ამას მოწმო[...]ბენ იქ მყოფი მოგზაურები.

კანონის წინ ყველა შვედი თანასწორ[...] და თავისუფალია; თავის თავს ისინ[...] ქვეყნის სრულ ბატონ-პატრონათ ს[...]ლიან.

სკანდინაველების ასეთი ფართო გ[...]ვითცნობიერებას განსაკუთრებით ხე[...] შეუწყო მდაბიო და უმაღლეს სახალ[...] შკოლამ, რომელსაც სათავეში საუკე[...]სო მასწავლებლები, ლექტორები, გონ[...]ერი ხელმძღვანელები და ადგილობრ[...] პასტორები უდგენ...

ამნაირად, სახალხო მასწავლებელი [...] პასტორი—აი ვინ იმსახურებს შვეცი[...] ყურადღებას. ისინი ყველას გულწრ[...]ლად უყვარს; განსაკუთრებით სოფ[...] მასწავლებელს დიდის პატივისცემით [...] მოწიწებით ეპყრობა როგორც ხალ[...] ისე ამ ხალხის ღირსეული მთავრობა, [...] დიდებული სურათია და მიბაძვის ღირ[...] მაგალითი, მაგრამ ასეა კი ყველგან?

ასეა, მაგალითად, ჩვენში, ან რუსეთ[...] საუბედუროთ, არა!

ამბობენ, რომ ერთ ნასწავლ მოგზა[...] ფრანგსა კითხეს: ვინაა რუსეთში ყვე[...]ზე მოწყენილი და უბედურიო.

ამაზე მახვილ-გონიერმა ფრანგმა მო[...]გო პასუხათ შემდეგი:

რუსეთში ყველაზე უფრო მოწყენ[...] და თავ-ჩაქინდრული—გიმნ[...] ლებელიაო, ხოლო ყველაზე [...] და დაბეჩავებული—სოფლ[...] ბელიო.

რა მ[...] სანამდვილეა ამ სიტყვებ[...] ჩვენი სა[...] მასწავლებლები[...]

...ლი ფაბრიკა-ქარხანა შეჩერდა. ფრთები მხოლოდ მილიტარისტულმა ინდუსტრიამ გაშალა.

ამის მიზეზი ის გარემოებაა რომ ...ებში მუდამ ივიწყებენ იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ კარგ ფინანსებს და კარგ ეკონომიას ხელს უწყობს სამართლიანი პოლიტიკა და ხალხის თავისუფლება. ცუდი პოლიტიკა ფინანსების და მთელი ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევას ამზადებს.

დღეს მრავალ პოლიტიკურ ზომებს იმუშავებენ, მაგრამ ამაოთ. ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება თვითმოქმედი და თავისუფალი ხალხის საქმეა. სანამ თვითმოქმედება შეკვეცილია, სატრანსპორტო საქმეც ანწილ დაწყებული იქნება, ყოველნაირი ბოროტმოქმედება და სპეკულიაცია ფესვებს ...ეგ უფრო მაგრად გაიდგამს და ხალხის კეთილდღეობას დასცემს.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ საწარმოვო ძალთა განვითარების შესახებ. ეს პრობლემის ქვა-კუთხედია, მაგრამ ამ მიზნით საჭიროა არა ინოროდცების ალაგმვა, არის ეს ნემეცი კოლონისტები თუ ებრაელები ან ქართველები, არამედ საზოგადოებრივ ძალთა განთავისუფლება. ვაჭარ მრეწველნი მფარველობითი სისტემის გაძლიერებას ელტვიან და ახალი ბაჟების დაწესებას ითხოვენ. მაგრამ პროტექციონიზმი კაი ხანია რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარებას აფერხებს და ხალხის კეთილდღეობას ძირს უთხრის. მფარველობითი სისტემა—ეს ძველი ტეხნიკის დაცვაა, ის ცხოვრების გაძვირებას მოასწავებს, ხალხის მოთხოვნილებათა განვითარებას აფერხებს და კულტურას წინ ეღობება".

რუსული პრესა.

9 თებერვლის სათათბიროს გახსნას მეორ...ან და „საპარლამენტო" ბრძოლის ნიშნის სხვა და სხვა პოლიტიკური ჯგუფები წინდაწინვე იმზადებენ.

პეტრე სტრუვეს გაზეთი, „ბირჟევიე ვედომოსტი" ადარებს რა ახალი პრემიერის, შტიურმერის სათათბიროსადმი დამოკიდებულებას ძველი პრემიერის, გორემიკინის დამოკიდებულებას, აქ ის ძირითად განსხვავებას ვერ პოვებს და ორჭოფულათ ...ნიშნავს:

„ჯერ ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა ...ძლით ძველსა და ახალ პრემიერს შორის განსხვავება. ყოველ შემთხვევაში ...ეს პედაგოგიურ-წამათამაშებელი ხერ...ამდენნათაც ის საქმეს „ნანას" უმღერ... უკვე მოძველდა. სათათბირო ახლად „შეძენილი" რამ არაა, რომელსაც გინდა მიიღებ, გნებავს უარყოფ, გსურს მოეფერები, არა და დასჯი, დატუქსავ. იგი სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა, სადაც კანონი გვიბრძანებს მივიდეთ, რომელსაც ვერავინ ვერ გაბედავს, რომ პატივის ცემით არ შეხვდეს".

მოსკოვის ლიბერალების გაზეთი „რუსკია ვედომოსტი" კიდევ უფრო მეტი სასოებით მოელის სათათბიროს სხდომების დაწყებას, დიდ იმედებს ამყარებს პროგრესიულ ბლოკის პროგრამაზე და საერთო ლოზუნგის ფორმულას შემდეგნაირათ გამოთქვამს:

„საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანება, რომელიც ქვეყნის თავდაცვისაკენ იქნება მიმართული, საზოგადოებრივ თვითმოქმედების, საფუძველზე უნდა იქნას დამყარებული.

გაზეთის აზრით, სათათბიროს ფრაქციების ტაქტიკაც ამ მთავარი დევიზიდან უნდა გამომდინარეობდეს.

მაგრამ სწორედ ამ მთავარი დევიზის „პარლამენტში" გატარება სულ სხვა გუნებაზე აყენებს ბ. გლინკას „ზემშჩინაში" (მემარჯვენეების ორგანოა).

იგი სწერს:

„ყოველგვარ მოთმენას თავისი საზღვარი აქვს; ჩვენი მთავრობის მოთმენასაც საზღვარი ედება, და მაშინ იგი იმავე დასკვნამდე მივა, რა დასკვნასაც ავსტრიის მთავრობა ომის დასაწყისიდანვე დაადგა. სახელდობრ ის, რომ „რეიხსტაგი"(?) დაითხოვა მერე სამოქმედოთ აღარ მოუწვევია. მაგრამ ქვეყანა „უპარლამენტოთაც" იოლად მიდის; ასევე იქნება რუსეთშიაც; სათათბიროს დათხოვა თითქმის შეუმჩნეველი ჩაივლის. აყაყანდებიან მხოლოდ ურიები, ახმაურდებიან ჩვენი „ახალგაზდა ოსმალნი" და „პარაგენცები", ხოლო ხალხი კი ღმერთს მადლობას შესწირავს"...

ცოტა სხვანაირად უყურებს საქმეს ხარკოველი დემოკრატიული გაზეთი „უტრო" რომელიც „რუსკია ვედომოსტის" ეკამათება და შენიშნავს:

„გაზეთმა საზოგადოება ქონებით შეძლებულ წრეებში აურია და ერთი და იგივე გახადა. ეს ორგანიზაციები, განაგრძობს გაზეთი, თავის თავადაც მეტად სუსტი არიან და ამიტომაც მათ არ ძალუძთ, რომ ქვეყანა მკვდარი წერტილიდან დასძრან; თუ რასაკვირველია მათ დემოკრატიის ფართე წრეებიც მხარს არ დაუჭერენ".

„როგორ და რაში უნდა დაუჭიროს მხარი დემოკრატიამ ლიბერალთა ორგანიზაციებს თუ ეს ორგანიზაციები თვითონვე ინიციატივას არ გამოიჩენენ? ეკითხება „რუსკია ვედომოსტი" ხარკოველ „უტროს" და დაცინვით დასძენს: თუ გაზეთს „მაინცა და მაინც ლიბერალებთან პოლემიკა თანამედროვე მომენტში აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია, ისე მაინც სწერდეს, რომ გადაღეჭილის კვლავ ცოხნა არ სჭირდებოდეს".

გადაღეჭილის ცოხნა რომ არა სასიამოვნო ხელობაა, ეს ყველამ იცის, მაგრამ ლიბერალთა, გინდ პროგრესისტთა ორგანიზაციების ახლანდელი „რეალური" ყოფა მათი ინიციატივა, რომ იგივე გადაღეჭილის ცოხნაა და მეტი არაფერი, ეს ბევრმა როდი უწყის.

...შემთხვევაში ყველასაგან მივიწყებული ...მივლებულია. ის მუდამ შეურაცხყოფილია და ხშირად მშიერიც.

მაგრამ ასეთმა სინამდვილემ ჩვენ არ ...და გაგვიტეხოს გული.

...ეგ, მრისხანებდეს ღამის წყვდიადი— ...მაინც დიდებულათ აღმობრწყინდება.. ...მოვა დრო და ჩვენი სოფლის მასწავლებელიც, ეს ნამდვილი ცხოვრების გმირი, ჭეშმარიტ მთესველათ იქცევა...

მაშინ ის თამამად და გაბედულათ ჩა...რის სიდ თესლს უკვე გაპოხიერებულ ...ში და ის მიდამო, რომელიც სავსეა ...ალი ბალახებით, სულ ახლო მომავალში ღვთიურ წალკოტად იქცევა...

ჩვენ ყველას გულწრფელად გვწამს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს და თავისას გაიტანს.

ჭეშმარიტების თბილი სხივები მალე ...თამაშებს ნისლ-ბურუსით მოცულ ჰორიზონტზე და მაშინ შავი ღრუბელი, სა...კად დამარცხებული, გაიფანტება და ...მუდამოთ გაქრება..

ეს ასეც უნდა მოხდეს, ცხოვრებაში, ...სასტიკ და ულმობელ ბრძოლაში მხოლოდ ცოდნით ძლიერი გაიმარჯვებს, ...ტი კი მუდამ დამარცხდება.

...ადამიანთა ცხოვრებაში უძლიერესი ძალა არის სწავლა-განათლება.. მისი ტაძარი კი—შკოლაა.

მაშ ვუსურვოთ ჩვენ შკოლასაც, როგორც განმანათლებელ დაწესებულებას, ...თილი მომავალი.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს თუ ...ალ ჩვენი სახალხო შკოლაც მივა იმ უმაღლეს წერტილამდი, რომელზედაც ამ ...მად სდგას განათლებულ შვეციის შკოლა...

ალ. გარსევანიშვილი.

ქ. ქუთაისი.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

როგორც მოხსენებული გვქონდა, გუშინ თბილისის სასამართლო პალატას უნდა გაერჩია ჩვენი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საქმე. პალატამ საქმის გარჩევა განუსაზღვრელად გადსდვა ბ. ნიკო ნიკოლაძის ავადმყოფობის გამო. საქმე გაირჩევა თბილისში.

✦ არზრუმის დაცემის გამო ქალაქ ქუთაისს გუშინ სადღესასწაულო ელფერი ედვა. ყოვლად სამღვდელომ ეპისკოპოსმა გიორგიმ საკათედრო ტაძარში წირვა და პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისის შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ყველა სასწავლებლის მოწაფენი.

✦ გუშინ, ქუთაისის ქართულს გიმნაზიის დარბაზში დაიწყო წითელ ბილეთიანების შემოწმება.

✦ ქუთაისის გუბერნიის მარშალმა თ-დ. დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო მეფის ნაცვლისაგან. გულითად მადლობას ვუძღვნი ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობას და მცხოვრებთ მოლოცვისა და კეთილ სურვილების გამოცხადებისათვის.

✦ ქუთაისის წვრილი კრედიტის საზოგადოებამ გამოიწერა 15 ათასი ფუთი შაბიაბანი, რომელიც დაურიგდება დაკლებულ ფასებში ქუთაისის მაზრის მცხოვრებთ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ თხოვნით მიმართა გუბერნატორს, შუამდგომლობა აღძრას კავკასიის მეფის მოადგილის წინაშე, რომ გამოყონ, როგორც კერძო პირის, ისე სახაზინო ადგილები, სადაც ქუთაისის წყალსადენი უნდა გაკეთდეს.

✡ გუშინ რუბანის ქუჩაზე დაიწვა ნესტორ გაბუნიას სახლი. სახლი დაზღვეული იყო.

განცხადება.

გამომცემელი ამხანაგობის „სამშობლო"-ს დროებითი გამგეობა პატივისცემით აუწყებს ამხანაგობის წევრებს, რომ კვირას, 7 თებერვალს, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში, დილის 12 საათზე დანიშნული ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრების გაგრძელება.

განსახილველია. შემდეგი საკითხები: გამგეობის მოხსენება, ოქმების დამტკიცება, მუდმივი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ამორჩევა წესდების თანახმად.

სასამართლოს მატიანე.

საქმე ნიკო ნიკოლაძისა.

ეს ორ წელიწად ნახევარზე მეტია, რაც ჩვენი სახელოვანი მოღვაწე ნ. ნიკოლაძე სასამართლოში მიცემული, „სენატორ ნეიდგარდის მიერ გაკეთებულ რევიზიის" მეოხებით. ეს რევიზია აღმოცენდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო სათათბირომ უარჰყო ქალაქ პეტროგრადის იძულებითი გაჯანსაღების კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტის უარისყოფის შემდეგ მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა სტოლიპინმა გადასწყვიტა დამტკიცებინა უმაღლესის მთავრობისათვის, რომ საქალაქო და საერობო დაწესებულებანი სანდონი არ არიანო და 1910 წლის 20 დეკემბრის თარიღით გამოითხოვა უმაღლესი ნებართვა თავის ცოლისძმის სენ. ნეიდგარდის რევიზორად დანიშვნის შესახებ ამ დაწესებულებათა მოქმედების შესამოწმებლად.

იმ დროს ყველაზე დიდი საქმეები კეთდებოდა ქ. ფოთში (ნავსადგურის აგება) და რაკი სტოლიპინის აზრი არ გამართლდა, და სენატორ ნეიდგორდის რევიზიის მარცხი მოელოდა, ხელი ჩასჭიდეს იმ „ბოროტმოქმედებას", რომელიც ვითომდა ფოთში ხდებოდა.

ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს დადგენილებით 1912 წლის პირველ მარტს ნ. ნიკოლაძე სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების 372 მუხლის ძალით

ეს საქმე უნდა გარჩეულიყო გუშინ, 5 თებერვალს, თბილისის სამოსამართლო პალატის სესსიის მიერ.

მოსამართლეებათ იყვნენ: თავმჯდომარე და მომხსენებელი საქმისა ბატონი მაკაროვი, ბრალმდებელი ბ-ნი ლებედინსკი, წევრები მიგური და პოპოვი.

პეტროგრადიდან ჩამოვიდა სახელ-განთქმული ვექილი კარაბჩევსკი.

საზოგადოება დიდის გულის-ცემით მოელოდა საქმის დაწყებას.

დამსწრეებს მხოლოდ ბილეთებით უშვებდენ.

დილის $10^1/_2$ საათზე დაიწყო საქმის გარჩევა, მაგრამ პირველშივე გამოირკვა, რომ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ავადმყოფობისა გამო სასამართლოში ვერ მოსულიყო და სთხოვდა საქმის გადადებას.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრა ბრალდებულის ვექილმა ბ-ნმა კარაბჩევსკიმ.

ბ-ნმა კარაბჩევსკიმ აგრეთვე სთხოვა პალატას შემდეგში საქმე გაერჩიათ თბილისში, რადგანაც უმთავრესი მოწმენი იქ იმყოფებიანო.

საქმის თბილისში გარჩევის სასარგებლოდ სიტყვა სთქვა კარაბჩევსკის თანაშემწემ ბ-ნმა კულიშერმაც.

მცირე თათბირის შემდეგ პალატამ დაადგინა:

საქმის გარჩევა გადიდოს გაზაფხულამდე და გაირჩეს იგი თბილისში.

გამოძიება ნიკოლაძის საქმის შესახებ შეიცავს რვა ტომს. თბილისიდან ჩამოტანილი იყო სხვადასხვა დოკუმენტით სავსე 7 სკივრი, რომელშიაც ელაგა საქმეები ბუნგე-პალაშკოვსკის ფირმისა 1898 წლ.—1909 წლამდე.

წერილი პეტროგრადიდან

(საქართველოს ეკლესიის საკითხი)

28 იანვარს პეტროგრადში საგანგებოდ დაიბარეს ცნობილი მწერალი ნ. ნ. დურნოვო, რომელიც მიტროპოლიტ პიტირიმის თხოვნით ალექსანდრე ნეველის-ლავრაში დაბინავდა.

როგორც აღმოჩნდა, ახალი პრემიერი შტიურმერი დიდი ხანია თვალყურს ადევნებს, თურმე, ნ. ნ. დურნოვოს წერილებს „პეტროგრ. ვედ."-ში და საეკლესიო საკითხებში მის აზრს იზიარებს.

ესლა, თურმე, დურნოვო იმისთვის დაიბარეს პეტროგრადში, რომ დიდი თანამდებობა ჩაებარებინათ უწ. სინოდში. დურნოვომ ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა, თუმცა უმაღლეს წრეებში ცნობილი იყო მისი კანდიდატურა.

ნ. ნ. დურნოვოს უმაღლეს წრეებისათვის წარუდგენია მოხსენებანი საერთოდ საეკლესიო საქმეების თაობაზე და კერძოდ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

მიტროპოლიტი პიტირიმი და ნ. ნ. დურნოვო საუკეთესო განწყობილებაში იმყოფებიან.

„რეჩ"-ის ცნობით ვითომც მიტროპოლიტი პიტირიმი დეკ. ვოსტორგოვს შეჰრიგებოდეს, სიმართლე არ არის. ვოსტორგოვი, მართალია, ცდილობდა დაახლოვებას, მაგრამ მიტ. პიტირიმი კარგად იცნობს ვოსტორგოვის გულის ყოველ ნადებს. ვოსტორგოვს გავლენა, გაზეთების ცნობების მიუხედავად, დაეცა, თუმცა მას მხარს უჭერენ საქართველოს ეკლესიის მტრები.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ნ. ნ. დურნოვო უკვე ოცი წელიწადია, თურმე, „პეტრ. ვედ."-ში წერილებს ათავსებს და ამ გაზეთის რედაქტორი თ-დი მ. მ. უხტომსკი პირადად მხოლოდ ეხლა, 29 იანვარს გაიცნო. „საქ"

სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.

განზრახულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა კრებაზედ დაადგინა, მოიწვიოს თბილისში 20 თებერვალს საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატთა კრება შემდეგი საგნების გადასაწყვეტად: 1) ბანკის გახსნის შემდეგ საქმის ცხოველი მდგომარეობა, 2) შესაძლებელია თუ არა ბანკი გაიხსნას ომის დასრულებამდე, 3) მოსახერხებელია თუ არა, ეხლავე შეუდგენ ძირითად თანხის 40 პროცენტის შეგროვებას და როდის დაინიშნოს ფულის შეგროვებისათვის შესაფერი დრო.

ამისათვის მთავარმა საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი შინაარსის წერილები დაუგზავნა სარაიონო საორგანიზაციო კომიტეტს:

გთხოვთ მოიწვიოთ ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა კრება, გამოირკვიოთ ადგილობრივ საქმის ვითარება, გაითვალისწინოთ ბანკის აქციონერთა ქონებრივი მდგომარეობა (გამოარკვიოთ ეს მდგომარეობა, თუ შესაძლოა, რამდენი აქციონერია გაწვეული ომში, ანუ სხვაგან წასული). შესძლებენ თუ არა ადგილობრივი აქციონერები დანიშნულ დროზე შემოიტანონ თანხის 40 პროც., ე. ი. თითო აქცია 100 მანეთი. შეუცირდება თუ არა ძველ აქციონერთა რიცხვი. იქნებიან თუ არა თქვენს რაიონში მსურველნი ახალ აქციონერებისა. ამასთანავე გთხოვთ აირჩიოთ რწმუნებული, ერთი ან რამდენსაც საჭიროდ სცნობთ, და გამოგზავნოთ თბილისში 20 თებერვლისთვის დელეგატთა კრებაზე დასასწრებლად. გატყობინებთ, [illegible] ჯამი, რომელიც შედგა ძირითად[illegible] 10 პროცენტისაგან, უდრის 800.000 მანეთს და ინახება, ფინანსთა მინისტრის ნებართვით, ვოლგა-კამის ბანკის თბილისის განყოფილებაში, რომელიც გვაძლევს 5 პროცენტს. როდესაც შეგროვდება კიდევ 40 პრ. ძირითადი თანხისა, მაშინ გვექნება სულ 1.600.000 მანეთი და მაშინ ნება გვექნება გავხსნათ ბანკის მოქმედება. წესდების დამტკიცების შესახებ სამინისტრომ უკვე გამოსთქვა თანხმობა, მხოლოდ მოითხოვა, რომ წინდაწინვე შეგროვდეს თანხის 50 პროც. წესდების დამტკიცების შემდეგ ბანკი უსათუოდ უნდა გაიხსნას 6 თვის განმავლობაში. საქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურთები.

(დაკვირვებანი)

(დასასრული იხ. „სამ". №278.)

ქურთს თუ მოეწონა ქალი, ადვილად იტაცებს და თუ ვერ შეძლო და ვერ შეითვისა ადვილათაც უშვებს, მაგრამ ამისთვის, ყურანის ბრძანებისამებრ მოწმეებს და კეთილსინდისიანებს უნდა მოუწოდოს, მათ გაუცხადოს ყოველივე და მხოლოდ მერმე, ისიც რამოდენიმე თვის ფიქრის შემდეგ, გაუშვას იგი, მხოლოდ მას მზითვი და სასყიდელი კი უნდა მისცეს. ქმრისაგან გაშვებული ქალი სამი თვე გაუთხოვარი რჩება და მხოლოდ მერმე თუ ფეხმძიმეთ არ აღმოჩნდა შეუძლია სხვა მამაკაცს გაჰყვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი და ბავშვიც ორ წლამდე წინანდელმა ქმარმა უნდა არჩინოს და უზრუნველჰყოს. დაქვრივებული ქურთის ქალი, მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ თხოვდება. ასეთია წესი და ადათი. მრუშობისა და ამით ოჯახის შეურაცხყოფისათვის, მოწმეების და კეთილსინდისიანების გადაწყვეტილებისამებრ ქურთს, როგორც მუსულმანს, ნება აქვს მოღალატე ცოლი სიკვდილით დასაჯოს, ან და სამუდამოთ დაამწყვდიოს, სოფელ-ქვეყანას მოსწყვიტოს. სამაგიეროთ ადათი და ყურანი თვითონ მასაც ცოლის სიყვარულს და ერთგულებას ავალებს. თუმცა სხვაგან მყოფობის დროს მას, როგორც მუსულმანს, ნება აქვს უცხო ქალთან დროებითი კავშირი დაიკავოს. ამისთვის იგი თავის სურვილს ადგილობრივ ყადს, ან მოლას უცხადებს და მათის თანხმობით ცოლს შოვნილობს, დროებით ირთავს. რისთვისაც იგი განსაზღვრულ სასყიდელს იღებს. მხოლოდ ქალი სამი თვის განმავლობაში დაშორების შემდეგ გაუთხოვარი უნდა დარჩეს, ვერც სხვა მამა-კაცთან დაიჭერს კავშირს, რომ ფეხმძიმეთ არ აღმოჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დროებით ქმარმა უნდა არჩინოს. ქალიშვილის შემცდენელს და გამოუპატიურებელს, შეცდენილ გაუპატიურებულს შინ მიუყვანენ და მიატოვებენ, რაც გინდა ის უქნიო. ერთი სიტყვით მან უნდა არჩინოს და მოუაროს.

ქურთებში ქალების გაყიდვა ან მის შესაძენათ ფულის გაღება კიდევ უნდა იყოს დარჩენილი. ასე მაგალითად 1915 წ. ზაფხულში, სოფელ თავარიზში, მშვენიერი ახალგაზდა ქალი 100 მანათად იყიდებოდა რასაკვირველია არა მონად, არამედ მეუღლედ.

ქურთი საზოგადოთ ოჯახის მოყვარულია. მხნე და მამაცი, ქურთი და თოფი თითქმის განუყრელი მეგობრები არიან ერთმანეთისა. იგი მშვენიერი მეომარი და ცხენოსანია. წერა-კითხვა და განათლება მათში ნაკლებათაა გავრცელებული. კითხულობენ და სწერენ თათრულად. თავისი ანბანი და ლიტერატურა არ აქვთ. ენა მათი მეტ ნაწილად სპარსულსა ჰგავს და არა თათრულსა, სიტყვები მოკლეა და შეკვეცილი. ქურთს უყვარს სიმღერა და ცეკვა თამაში რაშიდაც ქალებიც არ ჩამოუვარდებიან მათ, მიუხრა მათი ზნე-ჩვეულების კარგათ მცოდნე სომეხმა, თუმცა მე პირადათ მათი არც სიმღერა გამიგონია და არც ცეკვა თამაში მინახავს, რადგან ვის ესიმღერ-ეცეკვავებოდათ ამ სისხლის წვიმების და მეორედ მოსვლის დროს?!.

ქურთი ზრდილობიანი, ალერსიანი, ძლიერ პურ მარილიანი და სტუმართ მოყვარეა. ცუდ საქმის დამახსოვრება და ცდილობს მკარეგით მაინც გადაიხადოს იგი. საზოგადოთ ქურთი ადვილად იღებს ყოველივე ბრძანებას და უცვლელად ა-

რულებს მას. ქურთის ძლიერ უყვარს ექიმობა და რაც შესანიშნავია, უმეტესათ ნასწავლ ექიმთან მიდის დახმარების მისაღებად. რამდენჯერ შემინიშნავს რომ მიცემულ დარიგებას პირწმინდათ ასრულებს და ერთი ბეწვითაც არ გადაუხვევს მას. ამ მხრით იგი არ გავს ჩვენს „შეგნებულს" გლეხს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ექიმთანაც მიდის და ათასს მატყუარ მკითხავ-მორჩილებთან! ქურთებმა ავადმყოფის დარიდება არ იცის და ამის და საერთო უსუფთაობის გამო მათში მუდამაა გავრცელებული სხვა და სხვა მოარული და გადამდები ავადმყოფობა; შავი ჭირი, ყვავილი, სოფელე და სხვა მრავალი, რითაც ბევრი ესალმება წუთისოფელს.

მიცვალებულებს სახლში დიდხანს არ აჩერებენ, იმავე დღეს მიაქვთ საფლავზე. მიცვალებულისთვის ცალკე კუბო არ იციან. კუბო ერთია — იგი საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს ან და ქირაობენ ზალდახინსავით. მიცვალებულს თავახდილ კუბოში ასვენებენ და მხარზე გადებული სასაფლაოსაკენ მიაქვთ. აქ მას ამოიღებენ გაბანენ, და ტანისამოსის ამარა საფლავში უშვებენ, კუბოს კი უკან აბრუნებენ. ტირილი, ვაი უშველებელი, თავში ცემა, პირის ხოკვა, და შავების ჩაცმა მიცვალებულზე მათ არ იციან, როგორც არ იციან ეს ამ რაიონში მცხოვრებმა სომხებმაც.

ქურთები თემობით ცხოვრობენ და გვარის უფროსს ემორჩილებიან. თემი და თემი ხშირად მტრობს ერთმანეთს, რაც ხშირად სისხლის ღვრამდე მიდის. ასე სათათრეთის ქურთები მოსისხლე მტრები არიან ადერბეიჯანელი ქურთებისა, თუმცა, ამ ბოლო დროს საერთო შევიწროებამ და გაჭირვებამ ისინიც შეაერთა. სათათრეთის ქურთები ადერბეიჯანში გადავიდნენ და იქ იპოვეს ბინა და სასმელ საჭმელი.

ქურთი ხასიათით მშვიდია, მაგრამ როგორც გონებით ბნელი და გაუნათლებელი ხშირად ვარდება სხვა და სხვა პირების გავლენის ქვეშ და მის ბრმა იარაღად ხდება. ამ თვისებით სათათრეთის მთავრობა ხშირად სარგებლობდა სომხების დასამშვიდებლად და მათ ჭკუაზე მოსაყვანად. ამავე თვისებით სარგებლობდენ სხვა და სხვა კონსულ დიპლომატები, რომლებსაც მუდამ მღვრიე წყალში თევზის ჭერა სურდათ და ავადმყოფი კაცის საქმის გამგზავრება და მისი საბრძანებლისათვის ხელის წატანება და დანაწილება... ისე კი, ჩვეულებრივად, სომხებისა და ქურთების შუა ერთობ კარგი მეზობლური დამოკიდებულება და განწყობილება იყო. ეს არის არა მარტო ჩემი დაკვირვება, არამედ ამასვე ამოწმებენ პოლიტიკისა და პოლიტიკანობის გარეშე მდგარნი სათათრეთის სომხებიც, რომლებიც ამტკიცებენ რომ ომამდის ქურთები და ისინი ერთად ძლიერ კარგად ცხოვრობდენ და იმედი აქვთ აწიც კარგათ იცხოვრებენ. სინართლე რომ ითქვას უქურთოთ სომეხს, უმთავრესათ ქალაქში მცხოვრებს და ამლებ მიმცემს, კიდევაც გაუჭირდება ყოფნა. მისთვის ქურთი არა თუ კი სთლელი დუმაა, არამედ მშვენიერი შინა ყმა და მონა მოსამსახურე. ეკონომიურად ქურთი სულ მთლად სომხის ხელშია. იგი მუდამ მის ბადეშია გაბმული და თუ კი რამე სიმსუქნე ექნება და ხელიდან გამოუვა მას უნდა მიუტანოს....

ქურთი შედარებით შემწყალე და გულ ლმობიერიც არის. თუმცა ვინ უწყის მაზე რანაირი ხმები არაა გავრცელებული. ევროპა და მთელი შეგნებული კაცობრიობა მათ ველურად, მხეცებად, ავაზაკებად და ძაღლთაპირებათ იცნობს და ნათლავს. ეს იმიტომ რომ ევროპას ისინი განსაზღვრული მიზნით ცალ მხრივათ გააცნეს. ქურთებისაგან უსუსური ბავშვების ქლეტა ქალების გაუპატიურება და ხოცვა, მოხუცებულებ-დავრდომილ-დაჭრილების არ დანდობა უმეტეს შემთხვევაში მოგონილი და გადაჭარბებული ამბებია. ისევ იმავე მიზნით განგებ შეთხზული და გავრცელებული.

პირიქით ჩვენ ვიცით არა ერთი მაგალითი, როდესაც ქურთი ძლიერ ლმობიერათ და ჰუმანიურად იქცეოდა და უფრო კულტუროსანი ხალხი კი მხეცურად, მაგრამ ჯერ ამაზედ ლაპარაკი უდროვოა და მოუხერხებელი. მოვა დრო და ყველაფერი ითქმება...

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ ხალხს გულშემატკივარი და მცველ-მფარ- [illegible] და ევროპას იგი გააცნოს. ევროპაში კი მართალი და კულტუროსანი მარტო ის გონია, ვინც ბევრს ყვირის „ვიჩაგრებით". და ამავე ყვირილისათვის ბევრს ხარჯავს. არა თუ ევროპა, თვით ჩვენც, მისი მეზობლებიც არა ვიცნობთ ამ ხალხს ჩვენც კი ველურად და ძაღლთაპირებათ მიგვაჩნია. ასე იცნობს თვით რუსეთის მთავრობა, ან უკეთ რომა ვსთქვათ კავკასიის ადმინისტრაცია, მაგრამ მოვა დრო, გაივლის ეს შავბნელი დღეები, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, ყველა განვლილ ნამოქმედარს გადახედავს და მაშინ წუხილს დაიწყებს: ხალხი, რომ ცრუ იმედებით აღფრთოვანებულმა მხოლოდ ბოროტი უქნა მეზობელ ერს, და რუსის მთავრობა კი, რომ დროზე ვერ დაინახა რაც დასანახავი იყო და ქურთის ზემო აღნიშნული კეთილი თვისებებით, მისი, ასე ვსთქვათ, ლოიალობით დროზე და ხერხიანათ ვერ ისარგებლა. დაიწყებს წუხილს, მაგრამ მაშინ გვიანღა იქნება სინანული და თითზე კბენანი... წამხდარ საქმეს ეს ველარ გამოაკეთებს!...

ექიმი ეგ. ლოსაბერიძე.

ბ-ნ ლადო ბზვანელს უკანასკნელ პასუხად.

„ხამართლით მოჭრილი ხელი არ მტკივაო", ამბობს ქართული ბრძნული და კეთილშობილური ანდაზა. ეს ანდაზა უნდა წაუმძღვაროთ ჩვენს უკანასკნელს პასუხს იმ განზრახვით, რომ სამართლიანობას უნდა დაემორჩილოს ყოველი სინიდისიანი ადამიანი; სწორედ ამ სამართლიანობის აღსადგენად, იმედი გვაქვს, ბ-ნო რედაქტორო, საშუალებას მოგვცემთ ერთხელ კიდევ დავანახოთ მკითხველს, თუ როგორ მომზადებულ დაკვირვებულ და მცოდნე რეცენზენტთანა აქვს ხოლმე ხშირად საქმე ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენებურს ან მწერალს ან სახელმძღვანელოს შემდგენელს. ბევრს ჩვენებურ კრიტიკოსს და რეცენზენტს ავიწყდება ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ლიტერატურული ნაწარმოების ან სახელმძღვანელოს გარჩევას და დაფასებას დიდი ნიჭი, საფუძვლიანი ცოდნა და მომზადება უნდა; საკმარისი არ არის იცოდე მოკითხვის წერილის დაწერა, რომ ხელში კალამი აიღო და საკრიტიკო და სარეცენზიო ნაწარმოების წერას შეუდგე. ხშირად ზოგიერთი რეცენზენტი არ დაგიდევს არც ლიტერატურულ, არც პედაგოგიურ მომზადებას: ის თავისს საკუთარ შეხედულებას, ღმერთმა იცის, რაზე დამყარებულს, აწვდის მკითხველ საზოგადოებას და როცა მას მოსთხოვთ ამ შეხედულების მეცნიერულად და ციტატებით დასაბუთებას, მაშინ ის თქვენს ამ გვარ მოთხოვნილებას ლანძღვად მიიჩნევს, დარიგებას და ზრდილობის სწავლებას დაგიწყებთ. სწორედ ასე გვექცევა ბ-ნი ლადო ბზვანელიც თავისი საპასუხო წერილით, რომელიც მან „სამშობლოს" მე-262 ნომერში სათაურით „ლიტერატურული ეთიკა" მოათავსა, თავისი თავი ზრდილობიანად მიაჩნია და მოწინააღმდეგენი „უზრდელად, უტიფრად, მატყუარად და სხ." ჩვენ აქ ბ-ნ ბზვანელს არ გამოვეკამათებით იმის შესახებ, თუ ჩვენთაგანი რომელი უფრო ზრდილობიანი კილოთი სწერს. ვინც ჩვენი და ბ-ნ ბზვანელის უკანასკნელი წერილი წაიკითხა, ის ადვილად გაარჩევს ამას. ჩვენ სრულებითაც არ გვაინტერესებს ბ-ნ ბზვანელის პიროვნება და მისი წერილის კილო. ჩვენი უკანასკნელი პასუხი იყო მხოლოდ მხილება ბ-ნ ლადო ბზვანელის სარეცენზიო მოუმზადებლობისა და ქართულ ლიტერატურის და პედაგოგიური საკითხების უცოდინარობისა და არა გინება. თუ მან ეს მხილება ლანძღვად მიიღო, ეს მან თავის საკუთარს შორსმჭვრეტელობას მიაწეროს. განა გალანძღვა არის, როცა კაცს ეუბნები, შენ ამ საქმის გაკეთება არ შეგიძლიან, რადგან ამ საქმისა არაფერი გაგეგება; მოჰკიდე ხელი იმ საქმეს, რომლის გასაკეთებლად ნიჭიცა გაქვს და ცოდნაც. არა სჯობია ბ-ნ ბზვანელს, თუ ის საკმაოდ მომზადებული არ არის სარეცენზიოთ, მაინც განაგრძობს ამ საქმეს და აკი ამიტომაც სასაცილო მდგომარეობაში ვარდება და „ჯოხის ცხენზე ჯდომას" არ იშლის, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის!

ჩვენი ლიტერატურის უცოდინარი რომ არის ბ-ნი ბზვანელი, ეს მკითხველს ჩვენ წინა წერილით დავანახვეთ. ახლა ორი- [illegible] ნებაზე. ბ-ნმა ბზვანელმა „გუთანში" მოთავსებული დე-ამიჩისის მოთხრობები დაიწუნა და შეადარა ისინი მატყუარა ურიის მიერ ნაქებ მოროზოვის „დამპალ პირკალს", რომელსაც მტვერი ასდის (საუცხოო შედარებაა, ნამდვილი პოეტური) და მკითხველის წინაშე თავი იმითი იმართლა, მე ასეთი გემოვნება მაქვს და ვის რა საქმე აქვსო! ამაზე სხვა რა გვეთქმის მის მეტი, რომ „კაცია და გუნებაო". გვინდა ვკითხოთ ბ-ნ ლადო ბზვანელს, იცნობს რუსის გამოჩენილ პედაგოგის ვახტეროვის სახელმძღვანელოს „Міръ въ разсказахъ для дѣтей, третья книга для класснаго чтенія въ начальныхъ училищахъ 3 и 4 годы обученія 19-е изданіе т-ва И. Д. Сытина". ეს ის წიგნი გახლავსთ, რომელიც რუსეთის საუკეთესო რეცენზენტებმა საუცხოო წიგნად გამოაცხადეს. წარმოიდგინეთ, ბ-ნო ბზვანელო, თქვენი განცვიფრება, რომ სწორეთ თქვენ მიერ დაწუნებული დემიჩის მოთხრობები „გუთანში" მოთავსებული, ზემოხსენებულ სახელმძღვანელოს ამშვენებენ. ჩვენ დაგისახელებთ წიგნის გვერდებს, სადაც ეს მოთხრობებია მოთავსებული (იხ. გვ. 7, 8, 9, 69, 78). დაუჯეროთ ბ-ნ ბზვანელს, რომ „გუთნის" შემდგენელნი უხეირო მზარეულები არიან, როცა ქართველ მოსწავლეებს ზემოხსენებულ დე-ამიჩისის მოთხრობებს აწვდიან, მაგრამ ამ ვახტეროვს რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ბ-ნ ბზვანელს რჩევა არა ჰკითხა და ისე არ მოათავსა თავის სახელმძღვანელოში ბზვანელის მიერ ათვალწუნებული მოთხრობები!

ჩვენ მიერ შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელო „გუთანი" აგერ შვიდი წელიწადია, რაც არსებობს და შეძლებისამებრ ემსახურება ქართველ მოზარდ თაობას და ოჯახს; ამ დროის განმავლობაში იგი სამჯერ გამოიცა. პირველი გამოცემა **2400** ცალად, მეორე **3600** ცალად და მესამე **6000** ცალად. აქედან პირველი ორი გამოცემა სრულიად გაიყიდა, ხოლო მესამე გამოცემისა ცოტაღა დარჩა. მკითხველი დაინახავს, რომ ხსენებულ სახელმძღვანელოს საზოგადოებისა და სახალხო მასწავლებლების ყურადღება და თანაგრძნობა მოუპოვებია: შვიდი წლის განმავლობაში თითქმის თორმეტი ათასი ცალი გაყიდულა. ჩვენთვის, როგორც ავტორებისათვის, ცხადია, ფრიად საინტერესოა მოსმენა საფუძვლიანის და საქმის სიყვარულით გამოწვეულის რეცენზიისა განურჩევლად იმისა, ვინ დასწერს ამას: სახალხო სკოლის მასწავლებელი, თუ სხვა, ოღონდ ეს გარჩევა წიგნისა იყოს საფუძვლიანად დასაბუთებული.

თუ ამას დაგვავალებდა შეგნებული და მცოდნე სახალხო მასწავლებელი, ჩვენთვის ერთი ორად სასიამოვნო იქნებოდა, რადგან ჩვენი სახელმძღვანელო შედგენილია სახალხო სკოლებისათვის.

ტყუილად იმოსება ბ-ნი ლადო ბზვანელი უმანკოების სამოსელით და თავს აბრალებს სახალხო მასწავლებლებს და თან ჩვენ გვაბეზღებს, შეხედეთ, გიმნაზიის მასწავლებლები „გუთნის" შემდგენელნი მე რანაირად მჩაგრავენ და მემტერებიან მხოლოდ იმიტომ, რომ მე პატარა სახალხო მასწავლებელი ვარ და ისინი კი გიმნაზიის მასწავლებლები არიან და თავი დიდად მოაქვთო და თანაც გვაშინებს: „ახლად დაარსებული მასწავლებელთა კავშირი გაარჩევს სახელმძღვანელოებს და მაშინ დავინახავთ ყოველიფერსო". ჩვენ არ ვუწოდებთ ამ თქვენს არა საკადრისს საქციელს შესაფერ სახელს. ეს თქვენის კეთილსინიდისიერებისათვის მოგვინდვია. მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ამით ვერ შეგვაშინებთ, რადგან გვჯერა, რომ ხსენებულ კავშირში უეჭველად ბევრი იმისთანა მასწავლებელი იქნება, რომელსაც უკეთესად შეეძლება ჩვენი სახელმძღვანელოს დაფასება. დარწმუნებული ვართ ისე არ მოიქცევა, როგორც თქვენ მოიქეცით: შვიდი წელიწადია სახელმძღვანელო არსებობს, ორი წელიწადია ამ სახელმძღვანელოთი თქვენ თვითონ ასწავლებთ და ორი სტრიქონი ვერ დაასხელით, რომელიც ან უვარგისი იყოს, ან კარგი და თავს იმით იმართლებთ, „**რომ წიგნში 390 ხატებაა და მთელი წელიწადი მოგუნდებოდა მის გარჩევასო**". თქვენ ბრძანებთ, რომ ვინც რა გინდა გვითხრას, ჩვენ მაინც არ დავიჯერებთ. ამის თქმაც საკადრისია?! ჩვენი სახელმძღვანელოს შესახებ ჩვენს წინა წერილ- [illegible] ლულოდ არ მიგვაჩნია და ყველას ვსთხოვდით და ვსთხოვთ, ვისაც შეუძლიან, ეს ნაკლი გვიჩვენოს; მაშ რაღ დაგვპირდით ამის თქმა? ჩვენს სახელმძღვანელოს შეეხნენ წერილობით სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში სამი თუ ოთხი პირი და მათის ჩვენებით შევიტანეთ მცირეოდენი ცვლილება. მოეწონა ეს სახელმძღვანელო თვითონ განსვენებულს ი. გოგებაშვილსაც, რომელმაც რამოდენიმე სტატია „გუთნიდან" „ბუნების კარში" შეიტანა და პირადათაც არ დაუმალავს და უთქვამს ჩვენთვის ეს მოწონება.

ბ-ნ ლადო ბზვანელს ლათინური ანდაზა მოჰყავს „de qustuvus non est dis putaxdum", ესე იგი ყველას თავისი გემო აქვს. და ნუთუ ჩემი გემოვნების გამომხატველების უფლება არა მაქვსო?!" ასე გვიმტკიცებთ თქვენ, ბ-ნო ბზვანელო, ჰკლავს დანიშნულება? გკითხავთ თქვენ: რატომ გავიწყდებათ, რომ თქვენ არც სპენსერი ბრძანდებით, არც დისტერვეგი და პესტალოცი, არც უშინსკი, რომ თქვენს გემოვნებას ვინმემ დიდი ანგარიში გაუწიოს! ვის რად ეპრიანება თქვენი გემოვნება? თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს დაწერილს კითხულობს რამოდენიმე ათასი მკითხველი და არ უნდა დაივიწყებოდეთ მათი პატივისცემა და მორიდება; ამას მოითხოვს ლიტერატურული ეთიკა, რომლის უქონლობას უსაფუძვლოდ ჩვენ გვიკიჟინებთ.

მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ბ-ნი ბზვანელი გვწერს ჩვენ შიშს, ვითომც ჩვენ შეგვეშინდა მისი რეცენზიისა და ამიტომ განგებ ჭავტებით! „**გმა თუ ბზვანელის რეცენზიამ ბაზარი დაუკარგოს ჩვენს წიგნსაო**" და თან დასძენს: „**გაჰრული მოსაზრება და ანგარიშებია, რაც მიზნად არ უნდა ჰქონდეს დახსნული სახელმძღვანელო წიგნების შემდგენელთ და ისიც გიმნაზიის მასწავლებლებსაო**".

დამშვიდდით, ბ-ნო ბზვანელო, ჩვენ ამის შიში არც აქამდის გვქონია და ახლა, თქვენი რეცენზიის გამომჟღავნების შემდეგ, სულაც არ გვექნება. და რომ გვქონოდა, უეჭველად გაიფანტებოდა.

ეს თქვენი ფრაზები მოწმობს მხოლოდ თქვენს გაზვიადებულ შეხედულობას თქვენს საკუთარს თავზე: თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ თქვენს ნაწერს სახარების სიტყვის ძალა აქვს და ყველა დაუფიქრებლად დაგიჯერებთ.

რაიცა შეეხება იმას, ვითომც ჩვენ შემდგენელნი ვაჟრულ[illegible] ვმძღვანელობდეთ და დიდ[illegible] ღებდეთ, ამის შესახებ [illegible] რომ ეს მეტისმეტ[illegible] ჯიბესა და გულში! რატომ სირცხვ[illegible] არ გავაწერთლით, როცა ამასა სწერდ[illegible] აბა დაგვისახელეთ, საქართველოში [illegible] მელი სახელმძღვანელოს შემდგენელი [illegible] ჯილდოვებული, და გამდიდრებული თავისი შრომით? შეიძლება მხოლოდ ერ[illegible] მაგალითზე მიგვითითოთ და ეს მაგალ[illegible] იქნება მხოლოდ განსვენებული ი. გო[illegible] ბაშვილი, რომელსაც ერთი სახელმძ[illegible] ნელო კი არა ჰქონდა შედგენილი, [illegible] მეც ათი და მეტი, და ჩვენ სამს ავტ[illegible] ერთის წიგნიდან რა უნდა გვერგ[illegible] ჩვენ არ გვეგონა, თუ აქამდის მივედით[illegible] თქვენი ეჭვები. მიბრძანდით ერთ-ერთ [illegible] ტორთან და თქვენ ის გიჩვენებთ უტ[illegible] არს საბუთებს, თუ რამდენი ერგო [illegible] თოეულს ჩვენთაგანს ამ სამის გამოცე[illegible] საგან. გირჩევთ, მეტი გულწრფელ[illegible] მეტი მიუდგომლობა და დაფიქრება გამ[illegible] იჩინოთ, ვიდრე თქვენ ამას იჩენთ. [illegible] არსებითად პასუხის გაცემა არ ინებე[illegible] მიუხვმოუხვიეთ. ჩვენ ვითხოვთ [illegible] მიუდგომლად და მოურიდებლად საქ[illegible] საბუთების მოყვანით: ვარგა „გუთ[illegible] სახელმძღვანელოდ ქართულ სახ[illegible] სასწავლებლებისათვის და სას[illegible] ლია მისი გავრცელება თუ არა? თუ [illegible] ვარგა და მისი გავრცელება მავნებე[illegible] დაასაბუთეთ, რა არსებითი ნაკლ[illegible] ნება აქვს მას?

„გუთნის" შემდგენელნი.

რედაქტორ-გამომც. ი. ცინცაძ[illegible]

ქ. ქუთაისს მოდის.

ტფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50
"	— საღამ.	— 6 ს. 57
ბათომიდან	— დღისით	— 1 ს. 25
"	— ღამის	— 2 ს. 23
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 6
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 39
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

ტფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 55
"	— ღამის	— 1 ს. 7
ბათომისაკენ	— დღისით	— 5 ს. 30
"	— დილის	— 4 ს. 27
ფოთისკენ	— დღისით	— 4 ს. 27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20
შორაპნისაკენ	— დღით.	— 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი!

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელ ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამპლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუშსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდად სიმსხვილეს უწევს ავათმყოფს და ამორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამპლეს სიფარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. ფავერზაშვილის საფეთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)